ცნობის ფურცელი

№ 1721 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 9 თებერვალი № 1721

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურცლის" რედაქციის კონტორაში, ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели" „Моамбе" ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, 16 თებერვალს, კარლსხდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

თავ. რაფიელ დავითის ძის ერისთავის

სულის მოსახსენებლად სოფ. ქისტაურს. ასულნი და ძიძენი განსვენებულისა აუწყებენ ამას ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის მგოსნის პატივის მცემელთ. (რ. 3—2)

სამსონ სპირიდონის ძე ელიაშვილი შვილებით და ექიმი **ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი ცოლისა და დედის, მეორე—რძლის,

ქვრივ პეტრეს ასულის ელიაშვილისას.

განსვენებულს დაკრძალვენ ბათუმში, კვირას, 10 თებერვალს, დილის 9 საათზე.

ქართული თეატრი

შაბათს, 9 თებერვალს, 1902 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ახალგაზრდა მსახიობთა საბენეფისოდ

I

ედმონდ კინი

კომედია 4 მოქ. დიუმასი.

II

არივ-დარია

კომედია 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ტასო ბაბშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი, მირიანიშვილი, სარჯველაძე, იორდანოვი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება: „მეფე ლირი", „ძალა აღმართსა ხნავს".

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინოვ—ქირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

ვ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ **„როინაშვილიიეულის"** ფოტოგრაფიისათვის, რომელიც ღირს ქმნილია **უმაღლეს იმპერატორებრივ** ჯილდოსა, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარი ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავის დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველ-დღე ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავის ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (3—1)

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

„ძველი წესის" სულთ-ბრძოლა

II

როცა ჩვენში ეკონომიურ კითხვებზე ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე, პირდაპირი და სამართლიანი აწონ-დაწონვა ეკონომიურ ცხოვრებისა ბევრს ეშინიან. ეკონომიურ უთანხმოებას ხაზს ნუ გაუსვამთ, რადგან კლასთა შორის შუღლი და მტრობა ჩვენს ეროვნულ ვინაობას ავნებსო. ამ მოსაზრებაში მცირეოდენი სიმართლე იმალება. ხოლო თუ იგი სავსებით მივიღეთ, თუ ნიადაგ ეკონომიურ ცხოვრების ძალ-მომრეობას თვალს ავარიდებთ და ამითი ჩვენი ერის განზე გამწევ ნაწილებს თეთრის ძაფით მხოლოდ ოდნავ გავაერთებთ, ამ გვარ საშუალებით ჩვენ არამც თუ ვერ გავაღონიერებთ ეროვნულ ვინაობას, პირ-იქით, დავამხობთ და დავასუსტებთ.

სწორედ ამ მოსაზრების მიხედვით „ძმობაზე" ლაპარაკი მაშინ, როდესაც ეს „ძმობა" მხოლოდ ერთის მხარისთვის, ეკონომიურად უფრო შეძლებულ ერის ერთის ნაწილისთვის არის ხელ-საყრელი, დანარჩენებისთვის კი, უმრავლესობისათვის ძლიერ მავნებელი, ფარისევლობად და არა გულ-წრფელობად მიგვაჩნდა. მაგრამ ბევრს შეუგნებლობისაგან, ეროვნულ პრინციპის ცუდად განმარტებისაგან მოსდით ამ გვარი შეცდომა. ამ პირებთან კამათი შეიძლება, რადგან კამათი აზრის სხვა-და-სხვაობისაგან წარმოსდგება.

სულ სხვა საქმეა, როდესაც მოპირდაპირე პირ-ბადეს იფარებს, თავს იყრუებს, ბაასს საკამათო საგანზე არ იწყებს და მხოლოდ სოფისტიკის და იაფ-ფასიან ოხუნჯობით იოლას მიდის. „დაცინვას", საზოგადოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ეს დაცინვა სალი და ბუნებრივი უნდა იყოს და დასაცინი საგანი შეუსაბამო რამ და დასაგმობი. მწერლობაში „დაცინვას" აზრი უნდა ჰქონდეს. დაცინვის გარდა, მწერალს სხვაც რამე უნდა ჰქონდეს სათქმელი. თუ რომელიმე აზრი ანუ ცხოვრების მოვლენა სიცილსა გგვრით, ისე გაიცინეთ და იოხუნჯეთ, რომ ამ თქვენს სიცილში უილაჯობის და სასოწარკვეთილების ჩივილი არა ჩნდეს...

ხოლო, როგორც წინა წერილში ვსთქვით, ჩვენი „კონსერვატორები" არავითარ საშუალებას არ ზოგავენ ძველი წესის და აზრების დასაცველად. და აი ბ. ახალ-მოსულმაც უხერხულად და უცნაურად იოხუნჯა „ივერიის" ერთ-ერთ ნომერში.*)

რა იყო სასაცილო საგანი, იკითხავს მკითხველი? სასაცილო საგანი თურმე გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა ყოფილა. რა არის ამაში დასაცინი, ხელმეორედ იკითხავს განცვიფრებული მკითხველი? ისა, რომ სიცილის დანიშნულება კაცის უთოფ-იარაღოდ მოკვლაა. გესლიანმა ენამ უნდა დაჰკოდოს და დაამარცხოს ყოველი ის, რაც შესისხლხორცებულ, ჩვეულებრივ აზრთა წყობას არღვევს, რაც არსებულ და ზოგიერთთათვის სანატრელ ეკონომიურ ურთიერთობას ხელ-უხლებელს არ სტოვებს.

ერთს წერილში ჩვენ ვსთქვით, რომ გლეხკაცი და საზოგადოდ მშრომელი ხალხი უქონლობის და სიღატაკის გამო, წელში მოხრილია, დრტვინავს და უკმაყოფილოა. ამის გამო ჩვენა ვსწერდით: „კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისას სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. წინაამდეგ შემთხვევაში ის სხვას შეჰყურებს და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით" შეივსოს თავისი დანაკლისი". მშრომელი ხალხი გვქონდა მხედველობაში და ეს ვსთქვით მის სულიერ მდგომარეობის განსამარტავად.

ბ. ახალ-მოსულს ამ სიტყვებმა საღერღელი აუშალეს და მადა გაუხსნეს: „აქამდე მუშაობით წელს ვიწყვეტდი, დღესა და ღამეს ვასწორებდი, მეგონა, რომ ერთად-ერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა, მეგონა, რომ კაცი სულ იმის ფიქრსა და ცდაში უნდა იყოს, —პატიოსანის შრომით ლუკმა-პური სჭამოს და თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა, ეს სულ ძველების ფლასტაფლუსტია, ძველების ლათაიებია თურმე. საქმე კი იმაშია, რომ ვინც თავისას არა სჯერდება, ვისაც თავისი საკმარისი არა აქვს, ის სხვას შეჰყურებს თურმე, ის თურმე სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით" შეივსოს თავისი დანაკლისი. აი თურმე ახალი ფსიხოლოგია ადამიანისა რას ჰლაღადებს—ბრძანებს ახალ-მოსული". სიტყვას ბანზე აგდებს ბ. ახალ-მოსული, როგორც უტყუარი მართლ-მადიდებელი მცველი ეკონომიურ ძალ-მომრეობისა, და არწმუნებს მკითხველებს, რომ მე მწერლობაში ქურდობასა და ავაზაკობას ვქადაგებ. ყური დაუგდეთ: „სხვისით შევსება დანაკლისისა შესაძლებელია მარტო მაშინ,—გვეუბნება ავტორი—როცა კაცი ან **მოიპარავს**, ან **გაძარცვავს**, ან მოიტაცებს. სხვაფრივ „სხვისით" შევსება დანაკლისისა წარმოუდგენელია, იმიტომ რომ „სხვისი" სხვისაა და პატრონი თავისის ნებით არ დაგანებებს."-ო

ჯერ ერთი საფიქრებელია, ნამდვილად ვის ეკუთვნის ეგრეთ წოდებული „სხვისი". თანამედროვე დახლართულ საზოგადოებრივ ურთი-ერთობაში ისე აირია აზრი, რომ სიტყვებსაც დაეკარგა თავისი უტყუარი მნიშვნელობა. როცა ჩვენ იმ წერილში ფრჩხილებში ჩავსვით სიტყვა „სხვისი", სწორედ ეს მცნებათა გადასხვაფერება გვქონდა მხედველობაში.

თუ მართლა ჰგონია ბ. ახალ-მოსულს „რომ ერთად-ერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა", უნდა ესმოდეს ნამდვილი მნიშვნელობა იმისთანა სიტყვებისა, როგორც „ჩემი" და „სხვისი".

ჩვენც ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ბ. ახალ-მოსული ამგვარ კითხვებში კარგად ირის ჩახედული. მაგრამ ჩახედვა ერთია და ჩახედულისადმი თანაგრძნობა—მეორე. ტიპიური „კონსერვატორი" ბ. ახალ-მოსული ვერ თანაუგრძნობს მაღალ წოდების ქონებრივ უპირატესობის მოსპობას და ამიტომ ისე გვაჩვენებს თავს, ვითომც არ ესმის, რაზეა საუბარი და თავის მახვილ სიტყვას განაგრძნობს: სჩანს ადამიანის ბუნება გაუმაძღარი ყოფილა„და მეც ხომ ადამიანი ვარ და არა-რა ადამიანური არ უნდა მეუცხოებოდეს: ღმერთი, რჯული, მეც, ბევრ სხვასავით, არა ვსჯერდები და არა ვკმარობ იმას, რაცა მაქვს. მაშ ღვთითა და არჩილ ჯორჯაძის წყალობით ნურას უკაცრავად, რომ არც ვაცხელო, არც ვაცივო და ჩემის დანაკსილის შესავსებლად ვსთქვა: აფუ-მეთქი და შენი მზითევი შევიტყაპუნო. თუ მე ამაში გამამტყუნოს ვინმემ, არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგიის შემდეგ, ჩემი კისერი და შენი ხმალი".-ო

მარტივი და უხვის ენით დაწერილი ოხუნჯობა თუ გნებავთ, ეს არის. მაგრამ ჩაუფიქრდით ამ ოხუნჯობის საგანს: იგი მეტისმეტად დაუხედავი და ცინიკურია. აქ სასაცილოდ და აბუჩად არის აგდებული გაჭირვებულ კაცის სულის კვეთება და გულთასწრაფვა; აქ ერთის ზნეობრივის საზომით არის გაზომილი ამ გაჭირვებული კაცის მისწრაფება და გაუმაძღარ, მადა-გახსნილ მდიდარ კაცის გულის-თქმა. „როტშილდი, თვით ამერიკის მილიონერები ყელამდე ოქრო ვერცხლით ავსილები,—გვაუწყებს ხუმარა ახალ-მოსული, — არა სჯერდებიან იმას, რაცა აქვთ და დღე და ღამე იბრძვიან და ილვწიან მეტი შეიძინონო". ბ. ახალ-მოსულს ამ მდიდარ ხალხის უსაზღვრო შეძენისათვის მიმართული გარჯა და შრომა უბრალო მწარმოებელის შრომის დონეზედ დაუყენებია! მათ გარჯას ერთი ზნეობრივი ფასი ჰქონია!..

უსაგნო სიცილი დაბრმავებულ ადამიანსა ჰგავს: კაცს კლდეში გადასჩეხავს. სიცილი, რომელიც კაცს ამ საზღვრამდე მიიყვანს, სიცილი აღარ არის. და ამგვარ სიცილში ჩვენ მხოლოდ „ძველი წესის" სულთა-ბრძოლას ვხედავთ.

არჩილ ჯორჯაძე

---

*) იხ. «ივერია» № 21.

საზღვარ-გარედ

ავსტრო-უნგრეთი. „ვინ. ალგ. ცაიტ."-ი სწერს: ამას წინად რეიხენბერგში 13 მუშა დაატუსაღეს. ამ მუშებზე ეჭვი აიღეს, რომ ანარქისტების მიმდევრებს ეკუთვნიან და ამიტომ დააპატიმრეს. სასტიკი გამოძიება მოახდინეს ამ საქმის თაობაზე და გამოჩნდა, რომ ავსტრიაში ანარქისტებს დიდი შეთქმულება ჰქონიათ გამართული. შეთქმულებს ბევრ ადგილას ჰქონია გადგმული ფესვი და დიდ-ძალი მონაწილე ჰყოლია. კიდევ 32 მუშა დაუტუსაღებიათ.

ნორვეგია. შრომის დეპარტამენტი სთხოვს პარლამენტს, რომ წელს კიდევ 800,000 კრონა გადასდოს რკინის გზების ასაშენებლად. მუშები ძლიერ გაჭირვებაში არიან და ამიტომ წელს უსათუოდ ჩვეულებრივზე მეტი ფული უნდა დაიხარჯოს რკინის გზებზედაო. თუ ასე არ მოვიქცით, ბევრი ხალხი დარჩება უსაქმოდაო. ყველაზე ძლიერ იმას უნდა ვეცადოთ, რომ მუდმივი მუშები და დღე-მუშები [illegible] ხალხი არ დარჩეს უსაქმოდაო.

შვეცია. ფინანსთა სამინისტრომ წინადადება შეიტანა პარლამენტში, რომ 1903 წლისათვის შემოსავალზე პროგრესიული გადასახადი დაწესდეს და თანაც ამ გადასახადის პროექტი წარადგინა. პროექტის ძალით, ვისაც კი 2000 კრონაზე მეტი შემოსავალი აქვს, პროგრესიული გადასახადი დაეწერება. ვინც კი 2000 კრონაზე მეტს შემოსავალს იღებს,—თავისი ქონებიდან აქვს. ეს შემოსავალი, თუ შრომიდან—ეს სულ ერთია,—ყველა მოვალეა, მთავრობის მოუგონებლადა და უთქმელად, სინიდისიერად და პირ-ნათლად შეატყობინოს მოხელეებს, რა შემოსავალი აქვს. ვინც ამას არა იქმს, დიდი ჯარიმა გადაჰხდება, ვინც კიდევ თავის შემოსავალს დაჰმალავს ან ტყუილ ცნობებს მისწერს, მერე აღარასა ჰკითხავენ და მოხელეები თითონ გამოიძიებენ, თუ რა შემოსავალი აქვს.

გერმანია. მთავრობას ახალი წესები დაუწესებია რესტორანებში, ტრახტირებში და სასტუმროებში მოსამსახურეებისათვის და მომავალი 1 აპრილიდან ეს წესები ძალაში შევა. ამის თაობაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს ბერლინელი კორესპონდენტი სწერს:

„გერმანიაში კანონის ძალით მთავრობას მოვალეობა აქვს ყველა დაჩაგრულსა და უბედურს ყური უგდოს. და აბა სასტუმროებში, რესტორანებში და საზოგადოთ ყველა დუქნებში მოსამსახურეებზედაც უბედური და წამებულიც ხომ არა ვინაა. ჯერ კიდე 10 წლის წინად, როცა საფაბრიკო კანონების რეფორმა მოახდინეს, დეპუტატებმა მოითხოვეს რეიხსტაგში, რომ ყურადღება უნდა მიექცეს რესტორანებში და ყველა დუქნებში მოსამსახურეების საცოდავს ყოფასა და ბოლო მოეღოს ამათ ღუხჭირსა და შავ-დღესაო. დუქნის პატრონები სწორედ ყმა და მონასავით იმსახურებენ მოსამსახურეებსაო. მაგრამ რეიხსტაგმა მაშინ მარტო ის გაარიგა, რომ გერმანიის სახელმწიფოთა კავშირის საბჭოს უფლება მისცა: სადაც კი ნამეტანი ბევრი და ხანგრძლივი შრომისაგან მოსამსახურეებს სიცოცხლე აკლდებათ და ჯანი ელევათ, საბჭოს შეუძლიან მოითხოვოს, რომ დუქნის პატრონებმა მოსამსახურეები აღარ აწამონ და ულმერთოდ აღარ ამუშაონ. ეს უფლება სახელმწიფოთა კავშირის საბჭომ მარტო ეხლა მოიხმარა, თუმცა, რასაკვირველია, ისეთი წესები ვერ დააწესა, როგორიც ყველა საქმეში ჩახედულ კაცებს უნდოდათ, ან როგორიც შრომის კომისიამ მოითხოვა. ამ კომისიამ სულ დაწვრილებით თითო-თითოდ შეისწავლა ამ მოსამსახურეების საცოდავი და საზარელი ყოფა. მოსამსახურეებს ისეთ წამებაში და ჯაფაში ამოსდით სული, რომ რაღა უწინდელი მონები და ყმები და რაღა ეს მოსამსახურეები. ახალი წესები, ცოტა არ იყოს, მწუხარებას შეუმსუბუქებს ჩვენი დროის მონებს... თუმცა ეს წესები ნამეტანი მცირე შეღავათს აძლევენ მოსამსახურეებს, მაინც კიდე თანაგრძნობით უნდა მივეგებნეთ: ცოტა არ იყოს, უფრო ადამიანურად მოექცევიან ამ მოსამსახურეებს, ცოტა თავისუფლად მაინც ამოისუნთქებენ. თორემ აქამდე ასე იყო, რომ მოსამსახურების თვალ წინ მუდმივ ნადიმობდნენ, ქეიფობდნენ, სიცოცხლით სტკბებოდნენ და თითონ მოსამსახურეები კი არაქათ-გამოცლილი, ქანც გაწყვეტილი ძლივს ფეხზე იდგნენ, ძლივს თავს იმაგრებდნენ.

ახალი წესები ყველაზე უფრო გულ-მტკივნეულად ბავშვებს მოჰქცევიან. ამ წესების ძალით, ვინც კი ჯერ 16 წლისა არ შესრულებულა, საღამოს 10 საათიდან დაწყებული დილის 6 საათამდე უსათუოდ თავისუფალი უნდა იყოს. ესეთივე უფლება აქვთ 16—18 წლის ქალი-შვილებსაც, თუმცა კი აღებს უფლება აქვთ ეს ქალები ღამეც დასაქმონ სამზარეულოში, ან სახლში, მაგრამ გარეშე სტუმრებს კი ვერ ამსახურებენ. მოზარდ ყმაწვილებს ნამდვილად საღამოს 10 საათიდან დილის 7 საათამდე შესვენება ექნებათ, რადგანაც ახალი წესით დადგენილია, რომ მოზარდებს დღე-ღამეში გაბმული გაუწყვეტელი 9 საათი შესვენება ჰქონდეთო.

სრული წლოვანებისათვის კი სახელმწიფოთა კავშირის საბჭოს ამდენი შეღავათის მიცემა ვეღარ გაუბედნია. სრულ წლოვანებს დღე-ღამეში მხოლოდ 8 საათი ეძლევათ შესასვენებლად. ყოველ დღე შესვენების მაგივრად დუქნის პატრონს ნება აქვს მოსამსახურეს 24 საათის თავისუფლება მისცეს საქმე დღეს, ესე-იგი ერთი სრული დღე გაანთავისუფლოს. პატრონს ნება აქვს მოზარდებიც ერთ დღეს შეასვენოს, მაგრამ არა მგონია, ტრახტირისა, რესტორანისა და სხვა დუქნის პატრონებმა ყოველ დღე შესვენების მაგივრად, მოზარდები ერთ დღე-ღამეს შეასვენონ, რადგანაც 16 წლისაზე ნაკლები ხნის „მეგირდ ვაჟებსა და ქალებსა“ მაინც ღამე ვერ ამუშავებენ.

თუ რესტორანის პატრონს ჰსურს, რომ ყოველ დღის შესვენების მაგიერ, თავისი მოსამსახურეები ერთი სრული დღე-ღამე შეასვენოს, უნდა წინადვე გამოაცხადოს, რომ მოსამსახურეებმა ადრევე იცოდნენ, როდის იქნებიან თავისუფლები. ქალაქებში ორ კვირაში ერთი დღე-ღამე უნდა გაანთავისუფლონ, სოფლებში კიდე სამ კვირაში ერთი დღე-ღამე. ადგილობრივ მოხელეებს ნება აქვთ სრული წლოვანებისათვისაც ის წესები დააწესონ, რაც მოზარდებისათვისაა დადგენილი. კურორტებში ზაფხულობით, მარტო სამი თვის განმავლობაში, აღებს ნება აქვთ, რომ დღე-ღამეში მარტო 7 საათის შეასვენონ მოსამსახურეები.

ვიმეორებ, ეს პირველი ფეხის გადადგმაა. და მეტად სუსტი წესები დააწესეს. აკი ამიტომ ბევრ ზომიერ და თავ-დაჭერილ კაცსაც კი ჭკუაში არ მოუვიდა, ბევრი ეხლავე თხოულობს, რომ მოსამსახურეებს მეტი შეღავათი მიეცესო. პროფესორი ფრანკე ამ წესების თაობაზე თავის გაზეთ „სოციალ პრაქსის“-ში სწერს: „თუ მოსამსახურეების შველა უნდოდათ, ასეთი წესები უნდა დაეწესებინათო: 18 წლისაზე ნაკლები ხნის ქალს მოსამსახურედ არ უნდა იყვანდნენ; მოზარდებს 10 საათისა და სრულ წლოვანებს 9 საათის გაბმული, გაუწყვეტელი შესვენება უნდა ჰქონდეთ, ამას გარდა ყოველ დღე 3 საათი შესვენებაც უნდა ეძლეოდეთ სადილისა, საუზმისა და ვახშმის საჭმელად; თუ უქმე დღეს არა, საქმე დღეს მაინც უსათუოდ 36 საათი ზედი-ზედ შესვენებაც ჰქონდეთ; ამას გარდა, როცა კი მოსამსახურეები სტუმრებს არ ემსახურებიან, დაჯდომის ნება უნდა ჰქონდეთ. ახალი წესები მარტო ლაქიებისა, მოსამსახურე ქალებისა, მზარეულებისა და ჭურჭლის დამრეცხავებისათვისაა დაწესებული“. ფრანკე კი თხოულობს, რომ „ესეთი წესები ყველასათვის, უნდა დაწესდესო, ვინც კი რესტორანებში და სასტუმროებში მსახურობენო, რადგანაც ყველა აქაური მოსამსახურეები დიდ ტანჯვაში არიანო. იქნება დიდხანს აღარ მოგვიხდეს ლოდინი და მალე მოვესწროთ იმ დროს, როცა ეს სამართლიანი თხოვნა შესრულებული იქნებაო“.

კორესპონდენტი ასე ათავებს თავის წერილს:

„ძალა უნებურად ჩვენებური ტრახტირები და იქაური ბალღი მოსამსახურეების უბედური სახე მაგონდება. ამ ბავშვების გაჩენაში ხომ ნამდვილად ღმერთი არ გარეულა; დღე და ღამ სულ ჯაფაში ატარებენ დროს, ერთს წამს კვნესა არ აკლდებათ. ვინც არა მგონია სცემს და ჰტეხს, ყინვაში და ღვარცოფში მარტო პერანგის ამარა არბენინებენ, ღამე და დღე უბედური ბავშვები სულ გარყვნილი, ლოთი ხალხის სალახანურ საქციელებს ჰხედვენ და ბოლოს სულითაც და ჯანითაც იღუპებიან. ნეტავი, ეს უბედური ბავშვებიც მოესწრებიან იმ დროს, რომ ამათთვის ხმა ამოიღოს ვინმემ, ნეტავი ამათთვისაც გათენდება როდისმე?“.

ახალი ამბავი

◆ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა პრინცესა **ევგენია** მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელი 7 თებერვალს, დილის 9 საათზე, საგანგებო მატარებელით ტფილისიდან ბათუმს გაემგზავრა, საიდანაც გაგრაში (შავი ზღვის ნაპირზეა) წაბძანდება; იქ ამ ჟამად იმყოფება პრინცესას მეუღლე პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი.

◆ დღეს, 9 თებერვალს, საღამოს მატარებლით შემახაში მიემგზავრება მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ქალაქისა და სოფლების დასათვალიერებლად კავკასიის მთავარ მართებელი თავ. **გ. ს. გოლიცინი**.

◆ ხვალ, 10 თებერვალს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში, წირვის შემდეგ, საქართველოს ეგზარხოსი ალექსი, სამღვდელოების თანამწირველობით, **აკურთხებს არქიმანდრიტად** სემინარიის რექტორად დანიშნულს ბერ-მონაზონს ნიკანდრს.

◆ კავკასიის უმთავრესს მმართველობას განკარგულება მოუხდენია, რომ 1902 წლისათვის **საერობო გზების** რიგიანად მოწყობისა და შენახვისათვის გადაიდოს ტფილისის გუბერნიაში-60,000 მან. ქუთაისისა-50,000 მან, ერევნის—80,000 მან. ელისავეტპოლისა—47,000 მან., ბაქოსი—15,000 მან., ყარსის ოლქში-2,000 მან. და დაღისტნისაში—10,000 მან.

◆ როგორც გამოცხადებული იყო, განსვენებულის ზუბალაშვილისაგან ნაანდერძევის ფულით უნდა ააშენონ ტფილისში **სახალხო სახლი.** ამ ჟამად ამ სახლის გეგმა და პროექტები საპრემიოდ წარმოუდგენია 23 პირს, ეს პროექტები გადაეცა გასასინჯავად ინჟენერ ნოვომეისკის.

◆ ტფ. გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა თულაშვილმა ამ დღეებში დეპეშა მიიღო გუბერნიის თავათ აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ყველა ის პირები, რომელნიც საიუბილეო დღესასწაულებში დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის **საპატიო დარაჯებად** იყვნენ, დაჯილდოვებულ იქმნენ: უჩინონი პრაპორშჩიკის ჩინით, ხოლო ვისაც ჩინი აქვს, შემდეგის ჩინით.

◆ სამიწად-მოქმედო სამინისტრომ გარდაწყვიტა დაავალოს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორს, რომ მზრუნველობა იქონიოს სპეციალური სკოლების გამრავლებაზედ ამ მხარეში, რათა მცხოვრებლებში **გავრცელდეს სასოფლო სამეურნეო ცოდნა.**

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ 1898 წელს ტფილისის ქალაქის საბჭომ, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის 50 წლის სამსახურის შესრულების აღსანიშნავად, სხვათა შორის, დაამტკიცა ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ტფილისში დაარსდეს დიდის მთავრის სახელობაზე 4 კლასიანი **საქალაქო სასწავლებელი,** რომელშიაც უნდა მიიღებოდნენ მხოლოდ ქალაქის პირველ დაწყებითი კურს-დასრულებულნი. ამ საქმისათვის საბჭომ მაშინ გარდასწყვიტა ყოველ წლობით გადადებულ იქნეს აღნიშნულ სასწავლებლის შესანახად, 8000 მან. ამას წინად კავკასიის ოლქის მზრუნველისაგან კომისიას მოუვიდა მოწერილობა ხარჯთ-აღრიცხვით, რომ აღნიშნული სასწავლებელი უნდა იქნეს ექვს-კლასიანი—ოთხი უფროსი და ორი უმცროსი კლასებით და რომ სახლს გარდა ამ სასწავლებელს ყოველ წლობით ხარჯად დასჭირდება 7175 მან. ეს მოწერილობა საქალაქო სასწავლებელთა გამგე კომისიამ განიხილა 7 თებერვლის სხდომაზე და გარდასწყვიტა აღნიშნული სასწავლებელი დაარსდეს იმ რიგად, როგორც ეს ქალაქის საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა.

◆ იუსტიციის სამინისტრომ **დაამტკიცა გეგმა** გასამიჯნავ სამუშაოთა კავკასიაში ამ წელს. რომ გამიჯვნის საქმე ჩქარა სწარმოებდეს, სხვათა შორის, აზრადა აქვთ მიწად-მოქმედები და სახელმწიფო ქონებათა ზოგიერთი მოხელენი გამოგზავნონ, რათა გააძლიერონ მიწის მზომელთა შტატი.

◆ დღეს **ქართულ თეატრში** დანიშნულია ქართული წარმოდგენა ჩვენის სცენის ახალგაზდა მსახიობთა—ქ-ბ.ბ. ლეჟავასი, ნებიერიძისა და მდივნისა დაბ.ბ. ურუშაძის, იმედაშვილის და მირიანაშვილის—საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით ცნობილი დრამა „კინი“. იმედია, ჩვენი საზოგადოება წაახალისებს ახალგაზდა არტისტებს მათ ბენეფისზე დასწრებით.

◆ კვირას, 10 თებერვალს, ქართულ **სახალხო სცენის** მოყვარენი, ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოს თეატრში გამართავენ პირველ წარმოდგენას; წარმოსადგენად დანიშნულია ფრანგულიდან ნათარგმნი მელოდრამა „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“. წარმოდგენა საღამოს 7 საათზე დაიწყება.

◆ ქალაქის თავის მოადგილემ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომ შემოღებულ იქმნას სავალდებულო დადგენილებანი ხორცის ხარისხებათ დაყოფის შესახებ და აგრეთვე სთხოვა ხორცზედ **ნიხრის დამტკიცება.** ამასთანავე, ქალაქის თავის მოადგილე, საბჭოს მინდობილობით, შუამდგომლობს ბ. გუბერნატორის წინაშე, რომ სავალდებულო დადგენილებანი ხორცზედ ნუ იქნება შემოღებული, ვიდრე ქალაქი არ გახსნის თავის საკუთარ საყასბოებს ანუ ხორცის დუქნებს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას მიმდინარე წლის იანვრის განმავლობაში **შემოსავალი ჰქონია:** დასაფასებელ გარდასახადიდან შემოსულ 85,499 მან. 58 კ.. საპატენტო გარდასახადი—31798 მან. 25 კაპ., სამრეწველო მოწმობების გარდასახადისა—21112 მან. 59 კაპ. წყლის მილის შემოსავალი—14429 მან. 50 კაპ.. საყასბოსაგან—5291 მან. 62 კაპ. მიკროსკოპიულ სადგურისაგან—2332 მან. 32 კაპ. საქონლის ბაკიდან 1439 მან. 69 კაპ.. ცხენის რკინის გზის გამგეობისაგან—4097 მან. 5 კაპ. და სხვა; სულ 252,322 მან. 54 კაპ.

◆ ბაქოს გუბერნიაში მრავალი **თაგვი გაჩენილა,** რომლებიც ყველა მცენარეებს ფესვებს უთხრიან. შიშობენ, რომ თაგვები დიდ ზიანს მისცემენ ჰირნახულს და ამიტომ ადმინისტრაცია ეხლავე შეუდგა ღონისძიების გამოძებნას თაგვების გასაწყვეტად. უნდა იხმარონ მერეჟკოვსკისგან გამოგონილი სითხე.

◆ დღეს ასაფლავებენ პირველ კლასიკურ გიმნაზიაში ინსპექტორად ნამყოფს და შემდეგ მასწავლებელს ა. ა. **პრიხელკოვს.**

◆ ორშაბათს, 11 თებერვალს, ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სადგომში სხდომა ექნება **სამრეწველო გარდასახადის** გამწერ კომისიას.

◆ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებით, შირაქის მინდვრებში **იგზავნება** რამდენიმე ტოპოგრაფი, რომელთა მეთაურად იქნება ბ. სკიბიცკი, რათა შეკრიბონ ცნობები და აღწერონ საბალახე ადგილები.

◆ **დიდი ლიახვის** ხიდის შეკეთება ცხინვალში დაუსრულებიათ, აგრეთვე კედლით გაუმაგრებიათ ხიდის მარჯვენა ბურჯი და ლიახვის ნაპირები გოდორყურით. ხიდის შესამოწმებლად ცხინვალში ტეხნიური კომისია იგზავნება.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამართველოს სამკურნალო განყოფილებამ დაავალა ტფილისის გუბერნიის ყველა **სამკურნალო ქსენონებს** წარმოუდგინონ თავიანთი მოღვაწეობის ანგარიში წასულ 1901 წლის განმავლობაში.

◆ საგუბერნიო ადმინისტრაციამ წინადადება მისცა პოლიციმეისტერს, ყურადღება მიაქციოს, რომ მცხოვრებლები სწორედ ასრულებდნენ სავალდებულო დადგენილებათა **ქუჩების დასუფთავების შესახებ,** რომლებიც უნდა იწმინდებოდენ დილის 8 საათამდის.

◆ 7 თებერვალს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ცხენის **რკინის გზის** მეთვალყურე კომისიას. კომისიამ, სხვათა შორის, გარდასწყვიტა წინადადება მიეცეს უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს განკარგულება მოახდინოს, რომ ტრამვაის ვაგონებში კანტროლი შემცირებულ იქნეს, რადგან მეტად ხშირი კანტროლი აწუხებს მგზავრთ. აგრეთვე ვაგონების წინა პლატფორმაზე ხალხი არ ჩერდებოდეს; კომისიამ 50 მან. დააჯარიმა უსახელო საზოგადოება სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო.

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეადგინა ანგარიში, რაც ფული შემოსულა წარსული წლის გამოფენიდან. ამ ანგარიშიდანა სჩანს, რომ გამოფენის შემოსავალი სულ ყოფილა 135,396 მანეთი.

◆ დღეიდან განსაკუთრებული კომისია, სამოსწავლო კომისიის თევმჯდომარის ალიხანოვის თავმჯდომარეობით, შეუდგება, თანახმად ქალაქის საბჭოს დავალებისა, ფულის ანგარიშის და წიგნების რევიზიას ქალაქის პროფესიანალურს სახელოსნოში, რაც ხანად იქ **გამგედ იყო ქ-ნი ზუდრინა.**

◆ დღეს, 9 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: ჩიჩუასი, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება, ირაკლი და ზევარ ჯორბენაძეებისა, რომელთაც ჩუმად არაყის გამოხდა ბრალდებათ, ტარიელ ზაქრაძისა და ანტონ ქალკიასა, რომელთაგან პირველს სასჯელთა დებულების მე-377 და 378 მუხ. და მეორეს მე-347 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ.

◆ კუკიის სასაფლაოს სამზრუნველო კომიტეტი სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუთმოს კომიტეტს კუკიის სასაფლაოს ახლო ქალაქის ადგილი მიხეილის სამკურნალოში გარდაცვალებულთა დასასაფლავებლად, რადგანაც სამზრუნველო კომიტეტს ამისათვის საჭირო ადგილი აღარა აქვს

შემახის ამბები

დეპეშა 6 თებერვალს: მაჰმადიანთა უბანი, რომელიც ვაჭრობის შუაგულად ითვლებოდა, ეხლა ნაგვის ხროვას წარმოადგენს. 5 თებერვალს ამოთხარეს შვიდას გვამზე მეტი. ჰფიქრობენ, ორი ათას კაცზე მეტია დაღუპული მარტო მაჰმადიანები; დაჭრილები აუარებელია—შესახვევი მასალა არა ჰყოფნით. შვიდი ექიმი განუწყვეტლივ მუშაობს. სობორო, ჯუმალი-მეჩითი, ხაზინა დანგრეულია. სკოლაში მასწავლებელი და 15 შეგირდი ცოცხლივ დაიმარხნენ. ნანგრევთა გასათხრელად ხალხი არა ჰყოფნით. 13 ურემი მოვიდა კარვებით. ამ ჟამად მთელი მცხოვრებლები ცის ქვეშ იმყოფებიან. ცივი დარია. ხალხი მშიერია. მცხოვრებლები გარბიან ქალაქიდან. მიწის ძვრა კიდევ არის. აუწერელი უბედურებაა.

7 თებერვალს. ნანგრევებს კვალად სთხრიან და დახოცილთა გვამები ამოაქვთ. პური ბაქოდან მოდის. მოვიდნენ საპერები, მსროლელი რაზმი, „წითელი ჯვრის“ რაზმი, 5 ექიმი, 4 ბებია-ქალი, ფერშალი, მოწყალების დანი. სამი ბარაკია აშენებული, 35 კრაოტი სდგას. ხაზინის სადგომი გადათხარეს. თოვლი მოვიდა.

ბაქო, 7 თებერვალი. კომიტეტი, რომელიც შესდგა, რომ ბაზარში შეწირულება მოჰკრიფოს დაზარალებულთათვის, ვერ აუდის სამუშაოს, რადგანაც შემომწირველთა რიცხვი აუარებელია; სამუშაოდ მოიწვიეს მოქალაქენი. შემახაში იგზავნება ათას ფუთობით ფქვილი და პური. ყოვლის მხრით უხვი შეწირულებანი მოდის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია საჭირო.

გაზეთ „კასპსა“ სწერენ შემახიდან: 31 იანვარს, დილის პირველ საათზე, დაიწყო პირველი არა ჩვეულებრივი მიწის-ძვრა, რომელიც დედამიწის ჰექა-ქუხილით ნახევარი საათი გაგრძელდა. საზარელი სანახავი აღიმართა თვალის წინ. ისეთი კორიანტელი ავარდა მტვრისა, რომ ცა დაბნელა და გონება დაკარგული ხალხი აქეთ-იქით ეცა, ერთმანერთს ველარა სცნობდა. ამ საზოგადო ალიაქოთში ყველა ჰფიქრობდა, თავისთვის და თავისიანებისთვის ეშველა, მაგრამ გონება დაბნეული ვერა გრძნობდნენ, რას სჩადიოდნენ. ეს იყო რაღაც შემზარავი სტიქიონური უბედურება! ხალხი უგზო-უკვლოდ დარბოდა, ერთმანეთს ეძახდა, შველას ითხოვდა; პირუტყვები საზარლად ბღაოდნენ; ფრინველები ღობეებს და კედლებს ეხლებოდნენ და ამ დროს სახლები, დუქნები, ეკკლესიები, მეჩითები ინგრეოდნენ ჰექა-ლეწვით და ქვეშ იყოლიებდნენ ასობით ხალხს. საღამოს ჟამს ალიაქოთი ცოტათი მიჩუმდა, ყველანი თავისიანებს ეძებდნენ: შვილებს, ცოლებს, ძმებს, დებს; ქალაქში დაბრუნდნენ ქალაქიდან გაქცეულები; საზოგადო საზარელი ტირილი და გოდება, შველის ძახილი; ბავშვები, რომელნიც სასწაულით გადარჩნენ სიკვდილს ნანგრევებში, დარბიან და ღრიალით ეკითხებიან გამვლელ-გამომვლელს, ჩვენი დედ-მამა ხომ არ გინახავთო! მოკლეთ რომ ვსთქვა, სიტყვებს ვერ ვპოებ, რომ ეს გულის შემზარავი და სულის შემხუთავი სურათი აღვწერო!

31 იანვარს დღის პირველ საათიდან პირველ თებერვლის დილამდე ორმოცჯერ იძრა მიწა, და ყოველ ძვრაზე სახლები იქცეოდა. პირველ თებერვალს დილით სალდათები და ყაზახები მოვიდნენ და შეუდგნენ დაღუპულთა გვამების ამოთხრას. ამ დღესაც ყოველ საათს მიწა იძროდა. ვინც უბედურებას გადარჩა, იმათ არც საჭმელი აქვთ, არც სასმელი, არც ტანთ-საცმელი და არც თავშესაფარი; მრისხანე სიცივე კი გასწიწინებს ამ გაუერანებულ ქალაქს. მდიდარი და გლახაკნი—ორივენი ერთ ტაფაში იწვიან, არც ერთსა და არც მეორეს აღარა გააჩნიათ-რა.

არც სიტყვა, არც კალამი მიჰრის, რომ ავწერო, რა დღეში ჩავცვივდით; ჩემი ნათქვამი მხოლოდ ძალიან მკრთალი მიმსგავსებაა იმისი, რაც ნამდვილად მოხდა. ამ უცბად განაცრებულის გუშინ სიცოცხლით სავსე ქალაქის ნახვა შეუძლიან კაცს, მაგრამ იმის დღევანდელი მდგომარეობის აღწერა-კი არა მგონია, ვინმემ შეიძლოს.“

შემახაში მიწის ძვრის დროს დამსწრე ასე მოგვითხრობს უბედურების ამბავს: „იმ საშინელი მიწის გრგვინვის წინ, რომელმაც ქალაქი სულ გაამტვერა, ორი სუსტი გრგვინვა მოისმა, რომლებისათვისაც ბევრს არავის მიუქცევია ყურადღება: ერთი იყო დილის 8 საათზე, მეორე 11-ზე. თითქო ეს მოვლენა იმ საზარელი უბედურების მომასწავებელი იყო, რომელიც ბედკრულ ქალაქს შთანთქმას უპირებდა. 12 საათზე შევედი ჩემს ამხანაგთან, რომელსაც საათის მაღაზია ჰქონდა ქვეით ბაზარში, უცბად 12 საათ. და 50 წუთზე (დეპეშაში არის 12 ს. 30 წ., ჩემ ამხანაგს კი სახელოსნოში საათი გაუჩერდა 12 ს. 50 წუთზე.) მოისმა მიწიდან გრგვინვა, ჩვენ მივხვდით, რაც იყო, და როგორც კი გამოვცვივდით გარედ, მაღაზიის კედელი გადმოწვა. ისე ძალიან ირყეოდა მიწა, რომ ფეხზე დადგომა შეუძლებელი იყო, მე რამდენჯერმე დავეცი მიწაზე და მხოლოდ ჩემი ამხანაგის წყალობით ხალხმა არ გამსრისა, რომელიც უკან მოგვდევდა. წივილ-კივილი, ტირილი, დაქცეული სახლების რახა-რუხი, საშინელი მტვერი, რომ კაცი თვალს ვერ გაახელდა, ყველა ეს ერთმანერთში აირია რაღაც გამოურკვეველ სტიქიონად. ქალები და ბავშვები, რომელთაც სახლების დაქცევას გამოასწრეს, ღმერთს მადლობას სწირავდნენ გადარჩენისათვის და სულ არ ახსოვდათ თავისიანები. მე და ჩემი ამხანაგი ბაზარის ფართო ქუჩაზე გავრბოდით და ერთი-მეორეზე საზარელ სურათებს ვხედავდით: რამდენიმე დედაკაცი დედი-შობილა გამოვარდა აბანოდან, რომლის ნანგრევებ ქვეშაც იმათ დასტოვეს 40—50 თავისი ამხანაგები; სომხების ეკკლესიიდან, სადაც ამ დროს წირვა იდგა, გამოვარდა შემოსილი მღვდელი და უკან ხალხი მოსდევდა, რომელიც ერთმანეთს თავზე ახტებოდა, ეკკლესიაში მიატოვეს მიცვალებული. ერთ წუთზე მეტი გასტანა ძლიერმა გრგვინვამ, მას მოჰყვნენ უფრო სუსტები. მე გავრბოდი ქალაქის ზევითა ნაწილში, სადაც მე და დედა ჩემი ერთად ვცხოვრობდით, და ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამეხარდა, როცა დედა ჩემი უვნებელი დავინახე! დედამ მითხრა, რომ როგორც კი ინძრა მიწა, კარებს მივატანე, მაგრამ კარების გაღება კი შეუძლებელი იყოვო, და თუ შემთხვევით არ შეხვედროდა ჩვენი ნათესავი, ცუდათ იყო დედი ჩემის საქმე. საჭიროა ვსთქვათ, რომ უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ვერ გამოცვივდნენ გარედ იმიტომ, რომ კარები ვერ გააღეს და დაიღუპნენ.

მიწის რყევა მთელი ღამე გაგრძელდა, მეორე დღესაც კიდევ იყო. ორი დღის შემდეგ წამოვედი შემახიდან, სადაც ნანგრევებ ქვეშ დავტოვე, რაც კი რამ მებადა.“

რუსეთის ქრონიკა

∝ ხელოვნებათა საიმპერატორო აკადემიაში საგანგებო კომისია ენერგიულად მუშაობს ხატვა-ხაზვის პროგრამის შესადგენად დაბალ და საშუალო სკოლებისათვის. როგორც ევროპაში რუსეთის სკოლებშიაც ხატვა-ხაზვის სწავლა სავალდებულო იქნება.

∝ გზათა მინისტრის ბრძანებით ყველა ობერ-კონდუქტორებს განსაკუთრებული ნიშნები ექნებათ გაკეთებულ გულზე. 1-ლ მაისიდან ეს ნიშანი სავალდებულო იქნება ყველა ობერ-კონდუქტორებისათვის.

დაბა-სოფლები

თაუზი, ყაზახის მაზრა: აქეთკენ მეტად გახშირებულია ქურდობა. ღამე ისე არ გაივლის, რომ არა მოიპარონ რა. ამას, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯეროვან ყურადღებას სუსტად აქცევენ. რკინის გზის მე-404 ვერსიდან სადგურის უფროსის თანაშემწე ნ-ძე დეპეშით სტყობინებდა ადგილობრივ ბოქაულს: „გთხოვთ დახმარება აღმოგვიჩინოთ, ჩამობრძანდეთ აქ, ქურდებმა მოგვპარეს ოცდაათი ქათამი, რამდენიმე ინდაური, ქურდების კვალი სჩანს“-ო და სხვა. ეს უყურადღებობა უფრო ახშირებს ქურდობას და რკინის გზის მოსამსახურენი შევიწროვებულნი ვართ ამ თავხედობისაგან; მუდამ ღამ ქურდების ფეხის ხმა გვესმის, მაგრამ უიარაღოდ აბა რას ვიზამთ?! კარგი იქნება ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, თორემ უფრო დღითი-დღე მატულობს ქურდთა ბრბო.

როგორც გავიგეთ, ვიღაც კარანზოკოვი აკეთებს აქ სპილენძეულობის ქარხანას; სპილენძი ახლო მთებში ბევრია.

თეატრი

ქართული წარმოდგენა

„უპატიოსნონი“, რევეტის დრამა და „კრეჩინსკის ქორწილი“, კომედია სუხოვო-კობილინისა. მესხიშვილის ბენეფისი.

დრამის შესრულებიდან მეტს მოველოდით, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა და ამის მიზეზი უმთავრესად როლების ცუდი განაწილება უნდა იყოს. ტასო აბაშიძე ელიზა მორრეტის როლს ასრულებდა, რაც დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს რეჟისორსაც და თვით მსახიობსაც. ელიზა მორეტის როლი ღრმა დრამატიული როლია, ტასო აბაშიძეს კი ამისთანა როლებისათვის არც გარეგნობა და არც ხმა (განსაკუთრებით ხმა) არ შესწევს. ის მომენტები, სადაც ძლიერ მღელვარების ან მწუხარების გამოხატვა იყო საჭირო, მეტად შეუფერებლად იყო გამოხატული. მსახიობი ქალი, ეტყობა, ბევრსა სცდილა, მაგრამ ცდით ბუნების გადაკეთება ყოვლად შეუძლებელია. მაინც უკანასკნელ მოქმედებაში, განსაკუთრებით ძმასთან საუბრის დროს კარგი იყო. ვურჩევთ აბაშიძის ქალს, ნუ იკისრებს ასეთ მის ნიჭის შეუფერებელ როლებს.

მესხიშვილის ნიჭიერ თამაშმაც ვერ მოახდინა სასურველი შთაბეჭდილება, ალბად, იმიტომ რომ უმთავრესი პარტნიორი სუსტი ჰყავდა და ეს ასუსტებდა შთაბეჭდილებას: ტასო აბაშიძის განუწყვეტელი ტირილი (ღრმა მწუხარებისა და სევდის გამოსახატავად) მაყურებელს უშლიდა თვალ-ყური ედევნებინა მესხიშვილის თამაშისათვის. მსახიობმა ბევრად უკეთ დაგვიხატა შეყვარებული ახალგაზდა ქმარი, ვიდრე აღშფოთებული და გულ-მოკლული ქმარი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს მთელი თვისი მდგომარეობა. მესხიშვილმა მშვენიერად დაგვიხატა ის მომენტი, როცა კარლ მორეტი მოპარულის ფულით გაქცევას აპირებს და სულ უბრალო ხმაურობისაც კი ეშინია.

ჩერქეზიშვილისა მშვენიერი ტერეზა იყო: თავგასული, გაუზრდელებული მსახური ქალი, ის რასაც, რუსები ХАМЪ-ს ეძახიან, თვალ-წინ გვიდგა.

გვარიანი იყო გედევანოვიც ორლანდო-ორლანდის, ამ ნამდვილ პარაზიტის როლში.

ჩვენ ძალიან გვიკვირდა, რომ მესხიშვილი სუხოვო-კობილინის კომედიას სდგამდა თავის საბენეფისოდ, მაგრამ, როცა წარმოდგენა ვნახეთ, დავრწმუნდით, რომ მესხიშვილს მშვენიერი არჩევანი მოსვლია. თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდით, რომ მესხიშვილს შეეძლებოდა ასეთის შეუდარებელის ხელოვნებით კომიკურ როლის ასრულება. მესხიშვილი სავსებით განხორციელებული რასპლიუევი იყო, საბრალო რასპლიუევი, რომელიც ხან სიცილს გგვრისთ და ხან ცრემლებს; გეცინებათ, რადგან მთელი მისი ფიგურა, მიხვრა-მოხვრა, ტანისამოსი სასაცილოა, სიბრალულსა გრძნობთ და გეტირებათ, რადგან იგი მეტად უბედურია—ყველა მას ქელავს, მაზე იყრის ჯავრს და მას კი არავისთვის პასუხის გაცემა არ შეუძლია.

მესხიშვილს მხარს უმშვენებდა ნ. გაბუნია ანნა ანტონოვნას როლში. რუსულ და ევროპიულ პიესებშიაც აქვს ნიჭიერ მსახიობს თვისი როლები, მხოლოდ არჩევა უნდა, და დიდათ შემცდარი არის, ვინც იმას ჰფიქრობს, რომ გაბუნია მარტო ჩვენებურ პიესებში არის ნამდვილი გაბუნიაო.

ხელოვნურად შეასრულა გუნიამ კრეჩინსკის კამერდინერის როლი.

ვ. აბაშიძე კი... არა გუშინწინდელი წარმოდგენა სწორედ ნაკიანი იყო მამა-შვილისათვის და ამის ბრალი თვითონ მათ ედებათ. კრეჩინსკი აბაშიძის როლი არ არის. რამდენად ხელოვნურად თამაშობს ჩვენი მსახიობი დაბალ წრიდან გამოსულ ბანდიტის, ავაზაკის როლს, იმდენად უხერხულად ითამაშა მან კრეჩინსკის, ამ სალონის ავაზაკის, როლი.

არ ეპატიება რეჟისორს, რომ ურუშაძე ნელკინის როლში გამოიყვანა: ამისათვის არც საზოგადოება და, მგონია, არც თვითონ მოთამაშე მადლობას არ ეტყვის.

სასამართლო

წერილი ქუთაისიდან

7 თებერვალს აქ დაიწყო გარჩევა ცნობილის დიდის საქმისა, ავაზაკ ლორთქიფანიძის შესახებ. სულ 8 კაცსა სდებენ ბრალს; გამოწვეულია 90 მოწმე; აი ბრალდებულთა ვინაობა: ელიზბარ დუდუჩავა, 30 წლისა; ალექსანდრე ლუარსაბის ძე ლორთქიფანიძე, 24 წლისა; ივანე ქაიხოსროს ძე აგიაშვილი, 35 წლისა; თავ. ვალერიან სოლომონის ძე წულუკიძე, 20 წლისა; კნეინა რუსკანა პაატას ასული წულუკიძისა, 45 წლისა; ალექსანდრე ლალიაშვილი, 20 წლისა; კვინტუსია სახურია, 32 წლისა და თავ. ილია წულუკიძე, 30 წლისა. ყველა ამათ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება ბრალდებათ.

თავის დროზე გაზეთებში მოყვანილი იყო ცნობები იმის შესახებ, თუ რა და რა დანაშაული მიუძღვის ამ პირთ; გავიხსენოთ აქ ყველა ისინი.

ივ. აგიაშვილმა, ელიზბ. დუდუჩავამ, ალ. ლორთქიფანიძემ და თავ. ვალ. წულუკიძემ ერთმანეთთან შეთანხმებით შეადგინეს ავაზაკური ბრბო და თავიდან ფეხამდე შეიარაღებულნი 1900 წლის 20 ნოემბერს, ღამით, თავს დაესხნენ ქუთაისში პართენ თვალჭრელიძის სახლს, შეამტვრიეს კარები და წაართვეს 347 მან. ფულად და სხვა-და-სხვა ნივთი 400 მანეთის ღირებულებისა.

მეორე დღეს, 21 ნოემბერს, იგივე ბრბო თავს დაესხა სოფ. ამაღლებაში დარისპან გაბუნიას სახლს და წაიღეს 200 მან. ფულად და 91 მანათის ნივთები.

27 ნოემბერს ამათვე გაცარცვეს ასლანა ცხოდაშვილი, რომელსაც წაართვეს 250 მან. ფულად და 85 მანეთის ნივთები.

1-ლ დეკემბერს ეს ბრბო თავს დაესხა ბაღდადის შოსეზე ახალციხის მცხოვრებთ—რიდვინ დურსუნ-ოღლის, ქჩალი ოსმან-ოღლის და ქიდილა მავლუდ-ოღლის—გაცარცვეს ისინი: წაართვეს 116 მან. ფულად და 27 მანათის ნივთები.

5 დეკემბერს ბრბო თავს დაესხა სოფ. კულაშის ებრაელის ისხაკ ელოშვილის სახლს, გასტეხეს იგი და წაიღეს 2000 მან. და ძვირფასი ნივთები 500 მანეთისა.

8 დეკემბერს პოლიციამ მიამწყვდია ალ. ლორთქიფანიძე კონსტ. აბულაძის სახლში, სოფ. ზომას; დამნაშავემ დაიწყო სროლა და შემდეგ თავს უშველა.

24 დეკემბერს ალ. ლორთქიფანიძე და მასთან სამი სხვა ავაზაკი, რომელთა ვინაობა გამოურკვეველი დარჩა, თავს დაესხნენ ბაღდადის შოსეზე მიმავალ ძმებს კბილაშვილებს, ბესარიონ მოშიაშვილს, სილიბისტრო გლახიძეს, სტეფ. წურწუმელიას და სხვებს, წაართვეს მათ 250 მანეთის საქონელი და 46 მან. 15 კაპ. ფულად.

1901 წლის 14 იანვარს ალ. ლორთქიფანიძე და მასთან ერთი უცნობი ბოროტ-მომქმედი თავს დაეცნენ სოფ. ამაღლების გზაზე გლეხებს ისიდ. და ონის. მაღლაკელიძეებს, ისიდ. და ალ. სოგრიშვილებს, მიხ. თოფაძეს და ძმებს ერემიაშვილებს, წაართვეს მათ იარაღი, ცხენები, სხვა-და-სხვა ნივთი და ფულად 3 მან. შემდეგ, იმავე გზაზე, თავს დაესხნენ ებრაელთ მიხ. თეთრიკაშვილს, ელო მოშიაშვილს, მოშა და ელო ჩიკვაშვილთ, ისხაკ ბენიაშვილს, მოშა, აბეშა და მარდახა თეთრაშვილთ და მოშა ხუნდიაშვილს, წაართვეს მათ 250 მან. ფულად და 200 მან. საქონელი.

კერძოთ თავ. ილ. წულუკიძეს, რომელიც ბრბოს არ ეკუთვნოდა, ბრალდება ის, რომ მან იცოდა ბრბოს შედგენის ამბავი და სხვა-და-სხვა დახმარებას უწევდა მას—იარაღის შოვნით თუ ცნობების მიწვდენით. კნ. რუს. წულუკიძისას-კი ის ბრალდება, რომ იცოდა ავაზაკების ამბავი და ბინას აძლევდა ხოლმე მათ, აგრეთვე ინახავდა მათ მიერ მოტანილ ნივთებსა და საქონელს. შარშანვე, ალ. ლორთქიფანიძე, ალ. ლალიაშვილი, სახურია და გ. ლორთქიფანიძე, რომელიც სტრაჟნიკებისაგან მოკლულ იქმნა, თავს დაესხნენ ბათუმში როტშილდის ქარხნის მსახურთ, მოჰკლეს ქარხნის მსახური იუსუფა ჯანგარიძე და გაიტაცეს 13,800 მან. ფულად.

ყველა დამნაშავეთ, როგორც იციან მკითხველებმა, მთავარ-მართებლის განკარგულებით, სამხედრო სამართლით არჩევენ. ბრალდებითი ოქმი 25 გვერდს შეიცავს.

წერილი სიღნაღიდან

(საქველ-მოქმედო საღამო.—სიღნაღის «მამათა» დარბაზიდან.)

ორ თებერვალს სიღნაღში საცეკვაო საღამო იყო გამართული ქ. სტრელბიცკისაგან სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის შეუძლებელ ყმაწვილების და რუსეთიდან გადმოსახლებულ რუს-ოჯა-

ხების დასახმარებლად. სატევვათ საღამოსათვის დაკოდახიდან დ—რის პოლკის მუზიკა იყო მოწვეული. საღამოს მაინც-და-მაინც საკმაო ხალხი დაესწრო და ვინც კი დაესწრო, ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში დილის ხუთ საათზე. გარედან სკოლის ეზოში და ფანჯრებში, სადაც საღამო იყო გამართული, იმოდენა ხალხს მოეყარა თავი, რომ შიგ ოთახებში ნახევარიც არ იყო ამისი. კარგა ხანია ამისთანა საღამო არ ყოფილა სიღნაღში და მუზიკის ხმაც ორი წელიწადია არ გაუგონიათ და ამიტომ ამ საღამოს მოთავეთ დიდი იმედი ჰქონდათ ბლომა ხალხისა, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეუშალათ ხელი: რადგან სიღნაღში სხვა შენობა არ არის ამისთანა დროს გასატარებლად, გარდა სამოქალაქო სასწავლებლის შენობისა, ისევ იანვრის 19-ში სთხოვეს სკოლის უფროსს დაეთმო შენობა საღამოსათვის. ამავე დღეს სკოლის უფროსი შეეკითხებოდა ტელეგრამით თავის უფროსს: ნება მივსცე თუ არაო და იმისგან კი პასუხი მოუვიდა და ისიც უარი თებერვლის პირველში, საღამოთი, როდესაც ყველა გამზადებული იყო და მუსიკაც მოწვეული. ამის გამო საღამოს გამგებელი იძულებული შეიქმნა ბილეთების სყიდვა შეეჩერებინა და უფროსზე კი საჩივარი გაეგზავნა ოლქის მზრუნველთან. საჩივარმა გასჭრა. ორს თებერვალს, მზრუნველისაგან ნება-რთვა მოუვიდა ტელეგრამით, მაგრამ ცოტა მოგვიანდა. შემოსავალი ვარაუდით 400 მან. და გასავალიც 250 მანეთამდინ იყო, ასე რომ წმინდა მოგება 150 მ. თუ მეტი არა, ნაკლები აღარ იქნება.

სატევვათო საღამოები და სხვა გასართობები თუ ხშირათ ვერ ართობს ხალხს, ვისაც გართობა უნდა—და ისიც მუქთათ—ის ქალაქის თვით მმართველობის კრებებზე უნდა მობრძანდეს. აქ ბევრს იცინებს და გაერთობა კიდევაც. ქალაქის „მამებს“ დავიწყებიათ ქალაქი, მისი ინტერესები და მარტო იმასა სცდილობენ სათახუნჯო თქვან რამე და მოწინააღმდეგე გააწბილონ. საქმე? საქმე თვით ალლახმა უწყის და იმანვე იზრუნოს იმაზე. აი უკანასკნელ თებერვლის 5 კრებაზე რას მოხდომეს დრო: ერთი რწმუნებული პალტოთი და კალოშებით გამოჭიმულიყო სავარძელში—მეორემ კი შენიშნა, რომ ეს ზრდილობის წინააღმდეგიაო. პალტო-კალოშებიანს გამოუჩნდნენ მოსარჩლეები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ავად არის და აქ უწესობა არა არის-რაო. მეორენი კი უპასუხებდნენ—ავადმყოფს შეეძლო არ მოსულიყო და ახლაც შეუძლიან დასტოვოს დარბაზი და მიბრძანდესო. მამასახლისმაც ვითომ და თავის ავტორიტეტით დაასაბუთა პალტოიან-კალოშებიანის ავადმყოფობა და უნდოდა ლაპარაკი მოესპო, მაგრამ ამასაც უპასუხეს, რომ ის მედიცინაში ცნობილი არ არის და ამიტომ იმის დამოწმებას აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. კიდევ კარგა ხანი ილაპარაკეს, მაგრამ პალტო-კალოშებიანმა არც პალტო-კალოში გაიძრო და არც დარბაზი დასტოვა. ამ კითხვას როგორც იყო ჩამოეთხოვნენ, მაგრამ მეორე კითხვა უფრო თავსატეხი გამოდგა. მამასახლისმა წაუკითხა რწმუნებულთ ბ. ტფილისის გუბერნატორის ქაღალდი, რომლითაც ატყობინებდა, რომ ქალაქის მამასახლისად ამორჩეული ბ. ენიკოლოფოვი არ დავამტკიცე, როგორც ცენზის უქონელი, და ამის შესახებ რჩევაც გავაუქმე, თანახმად ხმოს. ლიონოზოვისა და ამირხანოვის საჩივრისაო, და თანაც ურჩიათ, ეს გადაწყვეტილება გუბერნატორისა განვასაჩივროთ სენატშიო. მერე მიმართა ლიონოზოვს: შენ რა აზრისა ხარ ამის შესახებაო? ლიონოზოვმა სამართლიანათ მიუგო, რომ მე ვჩიოდი ენიკოლოფოვი უკანონოდ არის ამორჩეული. ჩემი საჩივარი შეიწყნარა გუბერნატორმა და ახლა რაღა დამრჩომია, რომ მადლობელი დავრჩე მაგ გადაწყვეტილებისაო. ახლა მიმართა ენიკოლოფოვს: თქვენ რაღას იტყვით, და იმანაც უპასუხა გუბერნატორის გადაწყვეტილება უნდა განვასაჩივროთ, როგორც უკანონო და სხვასაც ურჩევდა ამ აზრისთვის მხარი დაეჭირათ. ამაზე ბევრმა შენიშნა, რომ გუბერნატორის გადაწყვეტილება კანონიერია, დღეს მაგაზე ლაპარაკიც არ შეგვიძლიან და დროც არის ბოლო მოეღოს მაგ დავიდარაბას და ახლებს ჩაბარდესო. ამას ყველაზე ხმა მაღლა ამბობდნენ ლიონოზოვი, ამირხანოვი და სარქისოვი სერგო. ენიკოლოფოვის პარტია კი წინააღმდეგი იყო და ყველანი თხოულობდნენ თავიანთ აზრის ოქმში შეტანას. მდივანმა უგდო ყური, ვერა გაიგო-რა ვინ რას ამბობდა, ვის რა უნდოდა და თავის ალაგს დაანება თავი და კარში გავიდა. ამას მიყვნენ ლიონოზოვი, ამირხანოვი და ს. სარქისოვი. ამას შემდეგ დარბაზში ცოტა-და დარჩნენ, არაფრის გადაწყვეტა აღარ იქნებოდა და შინაური თათბირის შემდეგ ესენიც დაიშალნენ.

შორეული.

ღია წერილი

საბეითალო საქმე კახეთისთვის სრულებით ახალი ხილია; არც ცოდნა გვაქვს ამ საგნისა და არც გამოცდილება. ამისთვის ნება გვიბოძეთ, ბ-ნო რედაქტორო, თქვენი გაზეთის შემწეობით მივმართოთ საბეითალო საქმის მცოდნეთა და ვსთხოვოთ გაგვიზიარონ თვისი ცოდნა და გამოცდილება საქონლის სხვა და სხვა ჭირზე, საბეითალო კანონ-მდებლობაზე და განსაკუთრებით ბეითალის სავალდებულო მოქმედებაზე, ამასთან მოგვცენ პასუხი შემდეგ კითხვებზე, რომელიც ცხოვრებამ წამოაყენა და ჩვენთვის მეტად საჭიროა:

ა) რა და რა სენია გადამდები და რა ნიშნებით იცნობებიან?

ბ) საქონლის ჭირი, რომელსაც რუსულად „ჩუმა“ ეწოდება, როგორ შეეყრება ავადმყოფ საქონლიდან კარგა მყოფ საქონელს, ჰაერით, მძოვრით, წყლით, თუ სხვა გზით?

გ) როდის იცნობა პირუტყვი საეჭვო ავათმყოფად? რა ნიშნებია ამისათვის?

დ) რა ზომებია საჭირო საეჭვო ავათმყოფობის დროსა?

ე) ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ ერთ-ერთ ღონედ შეიძლება იყოს ბოსელში პირუტყვის დამწყვდევა და კარების დაბეჭდვა, ისიც იმისთანა ბოსელში, რომელსაც სხვა არც შესავალი აქვს, არც სანათური დაბეჭდილი კარების გარდა?

ვ) ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებად ჩაითვალოს ორი მანეთის გადახდევინება ბოსლის პატრონისათვის, რომელთა ბოსელიც ამათ თავისუფლდება დაბეჭდვისაგან?

ზ) საზოგადოდ საქონლის პატრონის ფულით ან სანოვაგით (ხორბალით, ქერით, სიმინდით, ფეტვით და სხ.) დაჯარიმება ჰშველის რასმე საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ჱ) იმისთანა ადგილას, სადაც სოფლები რიგზე არის ჩამოწკრივებული ერთი მეორედამ 1—2 ვერსამდე, როგორ შემოიფარგლება ჭირიანი სოფელი სხვა სოფლებისაგან?

თ) თუ ამისთანა სოფლების ბოლოში ერთი გზა არის მხოლოდ, როგორ უნდა მოეწყოს საქმე, რომ არც დაჭირიანდეს მეზობელ სოფლის საქონელი და ამასთან სამეურნეო მუშაობაც არ აიკრძალოს?

ი) საზოგადოდ, რა მიზანი აქვს კარანტინს და რა საშუალებით უნდა იყოს დაცული იგი?

ია) რა უფლება აქვს კანონით ბეითალს შესახებ სოფლად განკარგულების გაცემისა?

იბ) რა მოვალეობა აქვს ბეითალს ხალხის შესახებ, როცა ხალხი სრულებით ვერ იცნობს საბეითალო საქმესა და შეგნებულად ვერ ასრულებს ბეითლის განკარგულებას?

იგ)ვალდებულია თუ არა ბეითალი, გააცნოს ხალხს ჭირის ნიშნები, ჭირის გადამდებლობა, ამის წინააღმდეგ საშუალებანი და სხვა?.

იდ) საჭიროა თუ არა, ბეითალს მოსამსახურეებად მაინც ჰყავდეს ადგილობრივ მცხოვრებთა ენის მცოდნე, რაკი თვითონ არ იცის ენა?.

ნადიკვრელი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 თებერვალი

პეტერბურგი. 7 თებერვალს აკურთხეს ეკკლესია და სკოლა ღარიბ და ავადმყოფ ბავშთა სამზრუნველო საზოგადოებისა.

ვოლოგდა. 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, კადნიკოვის მაზრის სოფელ პეტრიაევში ელვა-ქუხილი იყო; ელვამ ეკკლესია დააზიანა.

პეტროზავოდსკი. სასწავლებლები ემზადებიან გოგოლის ხსენების დღის დღესასწაულობისათვის. განზრახულია ერთ სამრევლო სკოლას გოგოლის სახელი ეწოდოს.

ვარშავა. დამტკიცდა ვარშავის საფოსტო კანტორის ახალის შენობის გეგმა; შენობა დაჯდება 500 ათასი მან.

ვარშავა. ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებათა მეცადინეობით არსდება ამხანაგობა, რომელმაც უნდა გახსნას სამეურნეო მანქანაიარაღების საკეთებელი ქარხანა.

სემიპალატინსკი. ხალხში სწავლა-განათლების გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადასწყვიტა გოგოლის დღესასწაულის აღსანიშნავად დაასარსოს უფასო სამკითხველო.

ომსკი. საბჭომ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა, რომ რკინის გზის შტო გაიყვანონ ვოლჩი ხვოსტამდე.

ბერლინი. იმ კომისიის უმრავლესობამ, რომელიც სადამოჟნო კანონ-პროექტს იხილავს, წარმოადგინა წინადადება, რომ კიდევ უფრო მეტი ბაჟი დაედვას საზღვარ-გარეთიდან შემოსატან ხორბალს, ვიდრე მთავრობის პროექტშია. მინისტრმა პოსადოვსკიმ განაცხადა, რომ მთავრობა არასოდეს არ შეიწყნარებს ასეთს წინადადებას.

ლიბავა. ხმოსნად 27 გერმანელი ამოირჩიეს, 5 რუსი, 5 პოლონელი და 10 ლიტვინელი. 8 ხმოსანს ხელ-ახლად უნდა უყარონ კენჭი.

ბელგრადი. ჩერნოგორიის მინისტრი ვუკოვიჩი მოვიდა აქა.

იალტა. აქამდე მეტად თბილი ამინდი იდგა, ეხლა კი უცებ აცივდა, დიდი თოვლი მოდის; ზღვა ჰღელავს.

პეტერბურგი. ბუნების მკვლევართა და ექიმთ- პირველი კრების სახსოვრად, პეტერბურგის უნივერსიტეტმა 5 ოქროს მედალი მიუსაჯა. კრების მონაწილეთ—4 ვერცხლისა და ერთიც პრემია. უნივერსიტეტის საპატიო წევრად აარჩიეს მეცნიერების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნიკიტინი, საგეოგრაფიო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი სემიონოვი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ცვეტაევი და რუდოლფ ვირხოვი. უნივერსიტეტში 3708 სტუდენტია და 67 გარეშე მსმენელი.

მეთევზეობის გამოფენაზე დასასწრებად პეტერბურგის საბჭომ ხმოსნები კედრინი და მედვედიევი აარჩია.

პეტერბურგის საბჭომ გადაწყვიტა, რომ ამას იქით წყლის მილის საგანგებო თანხისათვის ფული აღარ გადადოს. როცა წყლის საზომებს ყველას დაადგმევინებენ, წყლის მილის მთელი შემოსავალი ქალაქის საზოგადო შემოსავალში ჩაირიცხება.

7 თებერვალს ქართველ თავად-აზნაურობის დეპუტაცია დიდ მთავარ ვლადიმერ ალექსანდრეს ძესა და მის უავგუსტოესს მეუღლეს წარუდგა.

ასტრახანი. „პრიკასპისკაია გაზეტა“-ს სწერენ გურიევიდან, რომ ზღვისაგან წაღებული 14 თევზის დამჭერს უშველესთ; ზღვას კიდევ 158 კაცი წაუღია.

8 თებერვალი.

კიევი. გაზაფხულზე რკინის გზის სადგურის გაფართოვებას შეუდგებიან. ამისათვის ჯერჯერობით 800.000 მანეთია გადადებული, განსაკუთრებით საქონლის სადგურის აგებისათვის. ჯერ-კი დროებით ხის სადგურის აშენებას აპირებენ. ახალ სადგურის აშენებას შეუდგებიან 1904 წ. და დაამთავრებენ 1906 წ. ახალი სადგური უდიდესი იქნება მთელს რუსეთის სადგურებთან შედარებით. მთელი ჯამი ხარჯთ-აღრიცხვისა—4.000.000 მან.

მოსკოვი. უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი ბუხარის ემირს ეწვია. ემირმა გენერალ-გუბერნატორის სახლში ისადილა. ემირი უმაღლესს პირებთან სადარბაზოდ მივიდა. ხვალ კი გენერალ-გუბერნატორთან არის დაპატიჟებული კონცერტზე დასასწრებად.

ირბიტი. ბეწვი კარგად იყიდება. ბევრი გაგზავნილია სხვაგან. ჩრდილოეთიდან, ბერეზოვიდან და ლიაპინიდან ბეწვი კიდევ მოაქვთ. ხოლო ბერეზოვის მხრიდან ცოტა მოდის. ირმებმა კარგად გამოიზამთრეს. ცოტა დაიხოცა.

რომი. პარლამენტის სხდომა გაიხსნა. სიტყვაში შინაური საქმეებიც არის მოხსენებული. უცხოეთის პოლიტიკა კარგ მდგომარეობაშიაო. იტალია იცავს თავის ინტერესებს, მოკავშირეთ და მეგობრებს სიმტკიცეს უცხადებს და ამასთანავე იტალია მშვიდობიანობის მსურველიაო.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ა. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—11)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ისყიდება ორი წლის ნამყენი

ხეხილები:

ვაშლები, მსხლები, ატმები და ქლიავი—საუკეთესო ჯიშისა ჰაჯი-ისმაილ-ოღლის სანერგიდან. (3—2)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით . .	10 მ.	1 წლით . .	13 მ.
6 თვით . .	6 „	6 თვით . .	7 „
3 „ . .	3 „	3 „ . .	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით . .	6 მ.	1 წლით . .	9 მ.
6 თვით . .	4 „	6 თვით . .	7 „
1 „ . .	75 კ.	1 „ . .	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატება და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქ., ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

სამეურნეო სასწავლებელი

ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნობისა და მეფუტკრობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება რვა თვეში (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსული წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგათ გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა რვა თუმანია. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ, № 20). (10—1)

Дозволено цензурою Тифлисъ, 8 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.